



## საქართველოს შთავრუბის განკარგულა

№1680 2016 წლის 16 აგვისტო ქ. თბილისი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისთვის“ საქართველოს  
„წითელი ნუსხით“ დაცული მცენარეთა სახეობების ბუნებრივი გარემოდან  
ამოღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“  
საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და  
ამავე მუხლის 2<sup>3</sup> პუნქტის შესაბამისად:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, 220 კვ-იანი  
საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ახალციხე-ბათუმის“ მშენებლობის  
მიზნით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ (ს/კ: 204995176)  
მიეცეს უფლება, ბუნებრივი გარემოდან ამოიღოს მიწის ნაკვეთებზე (მიწის  
(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №24.02.31.150; №24.02.31.161;  
№24.02.31.160; №24.02.31.158; №24.02.31.155; №24.02.31.154; №24.02.31.152;  
№24.02.31.151; №24.07.36.317; №24.07.36.318; №24.07.36.319; №24.07.36.320;  
№24.07.36.326; №24.07.36.325; №24.07.36.324; №24.07.36.323 და №24.07.35.326)  
არსებული, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეების შემდეგი  
სახეობები:

ა) კაკლის ხე (*Juglans regia* L.) – 6 (ექვსი) ინდივიდი;

ბ) კოლხური მუხა (*Quercus hartwissiana* Stev.) - 1051 (ერთი ათას ორმოცდათერთმეტი) ინდივიდი.

2. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ვალდებულია:

ა) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს წინასწარ აცნობოს საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეთა სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღების დაგეგმილი ვადების შესახებ;

ბ) მოჭრილი მერქნული რესურსი, დაუკოტრავი სახით, სახეობების მიხედვით, დაასაწყობოს სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს მიერ მითითებულ ტერიტორიაზე და გადასცეს სააგენტოს მიღება-ჩაბარების აქტით.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეების ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე კონტროლი განახორციელოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვირიკაშვილი